ხელშეკრულება № 01-4
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. თბილისი 28 დეკემბერი, 2016 წელი

სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (შემდგომში-შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი უფროსის მოადგილის მაია სიმონიძის სახით და **შპს „ჯი-თი მოტორსი“** (შემდგომში-მიმწოდებელი), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის თემურ უსტიაშვილის სახით, (ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“), ვხელმძღვანელობთ, რა საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის N 26 განკარგულების საფუძველზე და საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-10[1] მუხლის მესამე პუნქტის „თ" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის გამოყენების შედეგად, ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „საქონელი“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული საქონელი.

1.7 „ინსპექტირება“ - ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია 2017 წლის 3 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, 2015 წლის 22 დეკემბრის N 01-61 ხელშეკრულების საფუძველზე შესყიდული 1 ერთეული ავტომობილის (SUZUKI S Cross; მწარმოებელი ქვეყანა: უნგრეთი.) **საგარანტიო მომსახურების ფარგლებში თანმდევი გეგმიური ფასიანი მომსახურება (CPV50100000).**

2.2. თანმდევი საგარანტიო მომსახურების ფასების ცხრილი ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **1500.00** (ათას ხუთასი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, ავტომობილის თანმდევი საგარანტიო პირობების ფარგლებში გეგმიური ფასიანი მომსახურებების ღირებულებას 100000 კმ. გარბენზე და წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს (გარანტიით გათვალისწინებული ფასიანი მომსახურებების დამატებითი ღირებულების გადასახადს) და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სხვა გადასახადს.

3.3 საგარანტიო პერიოდის განმავლობაში შემოთავაზებული საგარანტიო სერვისით გათვალისწინებული საქონლის ფასი შეიძლება დაკონვერტირდეს ელექტრონული ვაჭრობის დღისათვის ფიქსირებული ეროვნული ბანკის კურსით უცხოურ ვალუტაში, ხოლო ანგარიშსწორებისას ეროვნულ ვალუტაში - საქონლის ფაქტიური მიწოდების დღის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) თანმდევი საგარანტიო პირობების ფარგლებში გეგმიური ფასიანი მომსახურების მიწოდება უნდა მოხდეს ხელშეკრულების დანართით წარმოდგენილი ცხრილით განსაზღვრული კილომეტრაჟის მიხედვით.

ბ) საგარანტიო, გეგმიური ფასიანი მომსახურების მოწოდება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ მითითებულ სერვის ცენტრ(ებ)ში.

გ) მიმწოდებელმა გეგმიური მომსახურების ჩატარება უნდა უზრუნველყოს მოთხოვნის დაფიქსირებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

დ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება;

ე) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ინსპექტირების განხორციელება;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ინსპექტირება

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს/პირებს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ ინსპექტირების განხორციელების დროს.

5.2 ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მხრიდან: სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურის უფროსის მოადგილე **ნიკოლოზ ლომსაძე.**

5.3 შემსყიდველის მიერ ინსპექტირება განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

5.4 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნდებული საქონელი, მიმწოდებელი ვალდებულია არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღეში უზრუნველყოს წუნის აღმოფხვრა წუნდებულ მომსახურებაზე

6. საქონლის/მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი და გარანტია

6.1. საქონლის/მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.

6.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილი პირია სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურის უფროსის მოადგილე **ნიკოლოზ ლომსაძე.**

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად;

გ) დაფინანსების წყარო: სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის 2017 წლის საბიუჯეტო სახსრები.

7.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული მომსახურების ღირებულება გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში.

7.3 თანმდევი საგარანტიო პირობების ფარგლებში გეგმიური ფასიანი მომსახურების ანგარიშსწორება მოხდება გაწეული მომსახურების მიხედვით, ყოველჯერზე გაწეული მომსახურების შემდეგ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

9.2 წინამდებარე ხელშეკრულების 5.4 პუნქტით განსაზღვრული პირობის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე წუნდებული საქონლის ღირებულების 0.3%-ის ოდენობით.

9.3 წინამდებარე ხელშეკრულების 7.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.02%-ის ოდენობით.

9.4 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3 (სამი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.5 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3

11. დავების გადაწყვეტა

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

14. ფორს-მაჟორი

14.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

15. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, მიმწოდებელს თითო ეგზემპლარი და შემსყიდველს გადაეცემა ორი ეგზემპლარი.

16. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	მიმწოდებელი
შემსყიდველი: სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა ს/კ 205300048 მის: ქ. თბილისი, ფანჯიკიძის ქ. #1/ა	შპს „ჯი-თი მოტორსი" წარმოდგენილი გენერალური დირექტორის თემურ უსტიაშვილის სახით, მისამართი: ქ. თბილისი, ჩოლოყაშვილის 48ბ. დ.აღმაშენებლის ხეივნის 12- კმ. ს/კ - 206276340 ტელეფონი: 595-900-915; 2596796 საბანკო რეკვიზიტები: ბანკის დასახელება: სს „რესპუბლიკა ბანკი" ბანკის კოდი: REPLGE22 ანგ: GE24BR0000010044762334
_____ უფროსის მოადგილე მაია სიმონიძე	_____ გენ. დირექტორი თემურ უსტიაშვილი

ავტომობილის სერვისის მომსახურების ფასები, ნორმალური ექსპლოატაციის პირობებში, 3-ე კლასის მაღალი გამავლობის ტიპის ავტომობილი დანართი 4

პრეტენდენტი შპს 'ჯი-თი მოტორს'

მარკა, მოდელი, გამოშვების წელი	ავტომობილის ფასი ლარი	ავტომობილის საწვავის რაოდენობა (100000 კმ-ზე) ლარი	სერვისის და საწვავის ღირებულება (ლარი)	შეთავაზების ღირებულება (ლარი)	შესყიდვის სავარაუდო ღირებულება (ლარი)
Suzuki S Cross GL+1,6 4WD MT უნგრეთი; (სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან შესაბამისობაში) 2015 წ	38 415.29	5 900.00	10 941.71	49 357.00	49 357.00

სათადარიგო ნაწილების დასახელება	საჭიროების ერთ. ფასი ლარი	ერთეული მომსახურების ფასი; ლარი	გარბენი (კმ) 10,000	გარბენი (კმ) 20,000	გარბენი (კმ) 30,000	გარბენი (კმ) 40,000	გარბენი (კმ) 50,000	გარბენი (კმ) 60,000	გარბენი (კმ) 70,000	გარბენი (კმ) 80,000	გარბენი (კმ) 90,000	გარბენი (კმ) 100,000	ჯამი; ლარი
ძრავის ზეთის ხარჯი (გამოცვლით)	25,005	20	125,02	125,02	125,02	125,02	125,02	125,02	125,02	125,02	125,02	125,02	1250,2
ძრავის ზეთის ფილტრის ხარჯი	28,91	0,00	28,91	28,91	28,91	28,91	28,91	28,91	28,91	28,91	28,91	28,91	289,10
ჰაერის ფილტრის ხარჯი	47,2	8		55,20		55,2		55,2		55,2		55,2	276
წინა სამუხრუჭე ხუნდების კომპლექტის ხარჯი	442,50	28		470,5		470,5		470,5		470,5		470,5	2352,5
უკანა სამუხრუჭე ხუნდების კომპლექტის ხარჯი	499,73	32						531,73					531,73

სალონის ფილტრის ხარჯი	57,23	8				65,23				65,23			130,46
ალების სანთლების კომპლექტის ხარჯი(4 ცალი)	45,43	30					211,72						211,72
ძრავის ღვედის კომპლექტის ხარჯი	-		-	-	-		-		-	-		-	-
სულ ჯამი; ლარი	1146.005	126.00	153.93	679.63	153.93	744.86	365.65	1211.36	153.93	744.86	153.93	679.63	5041 71ლარი

შენიშვნები: (1) ერთ ჯერზე იცვლება 4 , 2 ლიტრი ზეთი (2) 100 000 კმ ზე არ ითვალისწინებს ძრავის ღვედის შეცვლას, ვინაიდან აქვს ჯაჭვური გადაცემა.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის #121 დადგენილების შესაბამისად, საგარანტიო პერიოდის განმავლობაში მიმწოდებლის მიერ თავდაპირველად შემოთავაზებული საგარანტიო სერვისით გათვალისწინებული ფასები, მბარეთა შეთანხმებით, შეიძლება დაკონვერტირდეს ტენდერის გამოცხადების დღისათვის ფიქსირებული ეროვნული ბანკის კურსით აშშ დოლარში, ხოლო ანგარიშსწორებისას ეროვნულ ვალუტაში - სერვისის ფაქტობრივი მიწოდების დღისთვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით;

"GT MOTORS" LTD * 206276340 *

ჯამი ლარში:	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-		-	-	-

საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული მინიმალური ტექნიკური მოთხოვნები				პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული ავტომანქანის ტექნიკური მონაცემები (ივსება მიმწოდებლის მიერ)
1	ფერი	შეშყიდველთან შეთანხმებით		ვერცხლისფერი
2	ძრავის მოცულობა არანაკლებ	1,3		1,6 (ზუსტი 1586)
3	ცხენის ძალა არანაკლებ	82		120
4	გადაცემათა კოლოფი	მექანიკური, არანაკლებ 5 საფეხურიანი		კი
5	სიგრძე არანაკლებ	3665		4300
6	სიგანე არანაკლებ	1600		1765
7	სიმაღლე არანაკლებ	1575		1575
8	საშუალო წვა 100 კმ-ზე არაუმეტეს	9.3 ლიტრი		ქალაქი-7,1ლ; შერეული 5.9ლ
9	საგარანტიო პირობები	5 წელი ძირითად აგრეგატებზე (ძრავი, ხიდი, გადაცემათა კოლოფი) 3 წელი ან 150000 კილომეტრი სრულ ავტომანქანაზე, რომელიც ადრე შესრულდება.		კი
10	უსაფრთხოების დამადასტურებელი დოკუმენტი	NCAP (ევრო ქრაშ ტესტი), IIHS (ამერიკული ქრაშ ტესტი)		ევროქრაშტესტი
11	ელექტრო შუშები	მინიმუმ წინა ორი		ოთხივე
12	აუცილებელი მოთხოვნა	სათადარიგო საბურავი		ამტანდარტული ქარხნული სათადარიგო საბურავი
13	აუცილებელი მოთხოვნა	წინა 2 უსაფრთხოების ბალიში		შეესაბამება
14	აუცილებელი მოთხოვნა	კონდიციონერი		კი
15	აუცილებელი მოთხოვნა	აუდიო სისტემა, უკანა საჭარე მინის ნელ. გათბობა		კი
16	აუცილებელი მოთხოვნა	საჭის გამაძლიერებელი,		კი
17	აუცილებელი მოთხოვნა	ABS		კი
18	აუცილებელი მოთხოვნა	4X4		კი
19	მიწოდების ვადა	არაუგვიანეს 30 დეკემბრისა		გეთანხმება

შენიშვნა: ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს გადაეცემა სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბალანსზე რიცხული *1 (ერთი)* ერთეული ავტომანქანა, რომლის ჯამური საბაზრო ღირებულება საექსპერტო დასკვნის მიხედვით შეადგენს ***3800.00*** *ლარს (სამიათას რვაასი და **00** თეთრი).* შესაბამისად, ანაზღაურება მოხდება პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ სატენდერო წინადადებითა და ჩასანაცვლებელი ავტომანქანის ღირებულებას შორის მიღებული სხვაობით.

სავალუტო კურსი 1 USD=2.4070 GEL